ს ა ნ ო ტ ა რ ო აქტი

საქართველო

ორიათასთოთხმეტი წლის ოცდარვა აპრილს, მე, მაია ბრეგვაძეს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ბაზალეთის ქ. №1, მომმართა **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერტაინმენტ ჰოლდინგი“**-ს (რეგისტრირებულია 26.12.2011 საიდენტიფიკაციო ნომერი №401966057) დირექტორმა ანდრო დოლიძემ (დაბ.30.09.1950 თბილისი, მცხ. ქ.თბილისი ვაჟა ფშაველას გამზირი №51, კორპუსი 13, ბინა 17, პირადი №01009012013) მან მოითხოვა წინამდებარე მინდობილობის შედგენა და მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მე მოვამზადე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები; მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილიბას:

მინდობილობა

მე, **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერტაინმენტ ჰოლდინგი“**-ს (რეგისტრირებულია 26.12.2011 საიდენტიფიკაციო ნომერი №401966057) დირექტორი ანდრო დოლიძე (დაბ.30.09.1950 თბილისი, მცხ. ქ.თბილისი ვაჟა ფშაველას გამზირი №51, კორპუსი 13, ბინა 17, პირადი №01009012013) ამ მინდობილობით სრულ უფლებამოსილებას ვანიჭებ **დავით ლოსაბერიძეს** (დაბ.14.03.1967 თბილისი, პირადი №01005006844) იყოს ჩემი წარმომადგენელი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, საკადასტრო და სხვა შესაბამის სამსახურებში, აწარმოოს ჩემი სახელით საქმეები, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, ნახაზები, პროექტი, შეიტანოს ყველა სახის განაცხადება და შეუზღუდავად მოაწეროს ჩემი სახელით ხელი საჭიროებისამებრ სათანადოდ დოკუმენტაციას, რაც დაკავშირებული იქნება ჩემი კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე **ქალაქ თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 34, (ს/კ 01.14.03.040.221)** საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის, აწარმოოს ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პროცედურები და ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ზემოთმითითებული დავალებების შესასრულებლად. მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (სფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა, დღგ 1,80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლით. 2.00 ლარი – რეგისტრაციის საფასური 39-ე მუხლის I-ლი პუნქტისა, სულ გადახდილია: 13,80 ლარი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინტერტაინმენტ ჰოლდინგი“-ს დირექტორი ანდრო დოლიძე

ნოტარიუსი მაია ბრეგვაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

84601986271114

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140411265

რეგისტრაციის თარიღი

28.04.2014 წ

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
ტელეფონი: 2 29-40-92

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18